თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 2011 წლის 20 სექტემბერი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- აკადემიური პროგრამების თავსებადობას კურიკულუმის კონსტრუირების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- პროფესიული დონის ამაღლებას, ინტეგრაციას საერთაშორისო სივრცეში, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის მნიშვნელოვან გაზრდას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1.

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს უმაღლესი პროფესიული პროგრამების სტუდენტების, ბაკალავრებისა და მაგისტრანტების მომზადებაში. განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.

1.3. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა) აკადემიური პროგრამების დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. მხარეები უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლას აკადემიური პროგრამების და პროფესიული პრაქტიკების ფარგლებში.

1.6. მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირებას.

1.7. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, საკონცერტო წარმოდგენებს.

1.8. მხარეები უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2.

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3.

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი მანანა დოიჯაშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია

ა(ა)იპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

დამატება

მუხლი1. პუნქტი 10

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მობილობის წესითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი პირობებით სწავლა გააგრძელოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის იგივე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ა(ა)იპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი — რ. ვიკნაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია